საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი**
**საქპატენტი**

ქ. მცხეთა

"20" 05 2013 წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 723/03

## სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 წლის 11 მაისის N 67296/03 განაცხადით მამუკა გაბრიჭიძემ (მის: შიომღვიმის მონასტერი, მცხეთა, საქართველო) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „ოქროს ცვარი золотая роса golden dew“ (რეგ. N 23551) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „ოქროს ცვარი золотая роса golden dew“ (რეგ. N 23551) საქართველოში რეგისტრირებულია 08.04.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 08.04.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-14, 21-ე და 33-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ “საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „ოქროს ცვარი золотая роса golden dew“ (რეგ. N 23551) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 244, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 20.05.2013).

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; მამუკა გაბრიჭიძეს (მის: შიომღვიმის მონასტერი, მცხეთა, საქართველო).

კანცელარია

ასლი დედანთან სწორია
"20" 05 2013წ.
ხელმოწერა